

წიგნიერების პრობლემა და მისი დაძლევის გზები

(სასწავლო საგანმანათლებლო პროექტი „წიგნი სიყვარულია“)

ირმა კრაველიძე

საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

რეზიუმე

კომპიუტერის დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად გაანეღა ინტერესი წიგნის მიმართ. აღნიშნული ნაშრომში - წიგნიერების პრობლემა და მისი დაძლევის გზები (სასწავლო საგანმანათლებლო პროექტი „წიგნი სიყვარულია“) . ჩვენი ნაშრომის მიზანია სწავლების ერთ-ერთი სტრატეგიის - პროექტით სწავლების - განხილვა და სწავლის შედეგების დაფიქსირება/გაანალიზება, დადებითი და უარყოფითი მომენტების აღნუსხვა. ნაშრომში განხილულია პროექტის მიმდინარეობის პროცესი და ის დადებითი სწავლის შედეგები, რაც მიიღწევა ამ პროექტის შესრულების შედეგად.

საკვანძო სიტყვები: წიგნი, პროექტი, კომპიუტერი

შესავალი - ლიტერატურის უმთავრესი მიზანი და დანიშნულება ენისა და ერის გაჯანსაღებაა, კულტურის ამაღლება, ხალხთა შორის კომუნიკაციის, ცოდნის, გამოცდილებისა და სხვისი სულის წვდომის უნარის, საკუთარი ღირსების გრძნობის შექმნა. წიგნის კითხვა ადამიანის შინაგან ბუნებას რომ ალამაზებს უცნობი არავისთვისაა. შეიძლება დაუსრულებლად ვილაპარაკოთ ლიტერატურისა და წიგნის დანიშნულების არსზე, მაგრამ რა ხდება დღეს? ეს პრობლემა ჩვენთვის, მასწავლებლებისთვის, ძალზე საგულისხმოა, რადგან კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს იმაზე, რომ ჩვენი მოსწავლეები არ კითხულობენ იმდენს, რამდენიც მათი სრულფასოვანი განვითარებისთვისაა საჭირო. მასწავლებელი ვერ მიაღწევს ვერც ერთ სასწავლო შედეგს, თუ მოსწავლემ არ წაიკითხა საჭირო მასალა. ამასთან, სააზროვნო უნარების განვითარება მხოლოდ წაკითხულის გააზრებითა და გაანალიზებით მიიღწევა, ხოლო მაღალი შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის აუცილებელია მოსწავლე კლასგარეშე ლიტერატურასაც ხალისით კითხულობდეს. ჩვენმა სინამდვილემ ბავშვები წიგნებს დააშორა, რაც ძალიან შემაშფოთებელია. მიმაჩნია, რომ ბავშვობამ მსოფლიო ლიტერატურის შედეგების წაკითხვისგან მიღებული ემოციების გარეშე არ უნდა ჩაიაროს. არსებობს წიგნები, რომელთა წაკითხვაც ადამიანმა გარკვეულ ასაკამდე უნდა მოასწროს, რადგან მერე ის

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)
The exchange of Good Practices
 17 October, 2015, Materials

ღირებულება აღარ ექნება. მაშ, როგორ დავძლიოთ ეს პრობლემა? როგორ გადავაქციოთ უხალისო მკითხველები მონდომებულებად? როგორ მოვახერხოთ მათი შთაგონება? რა ვასწავლოთ მათ, რომ წარმატებას მიაღწიონ?

ამ კითხვაზე, რასაკვირველია, ერთი კონკრეტული პასუხი არ არსებობს. არსებობს პრობლემა და განათლების ექსპერტთა მიერ შემოთავაზებული სტრატეგიები, რომლებიც შეიძლება წარმატებით დავუპირისპიროთ მას. მთავარია სურვილი და მოქმედების დაწყება. და ეს სურვილიც გაჩნდა გასულ წელს, როდესაც ქუთაისის № მე-15 საჯარო სკოლის პედაგოგმა და დღეს უკვე არასამთავრობო ორგანიზაცია „აკმე“-ს თანადამფუძნებელმა, ორგანიზაციის დირექტორმა: ნათია კალანდაძემ შემოგვთავაზა პროექტი სახელწოდებით: „წიგნი სიყვარულია“, (დღეს უკვე პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია „აკმე“) რომელშიც საქართველოს 14 საჯარო სკოლაა ჩართული, აღნიშნულ პროექტს მართლაც ხალისით დავთანხმდით, რადგან პრობლემის ნაწილობრივი მოგვარებისთვის დაგეგმილი საინტერესო აქტივობების გარდა მოსწავლეებისთვის მისაღები აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ პროექტი ახალი მეგობრების შექმნასა და მათთან ურთიერთობასაც ითვალისწინებდა.

პრობლემა: ტექნიკის განვითარებამ, ადამიანთა ცხოვრებაში კომპიუტერის დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად გაანელა ინტერესი წიგნის მიმართ. არავისთვისაა საიდუმლო, რომ მოზარდები წიგნებს აღარ კითხულობენ. გურამ დოჩანაშვილი ამბობს: „ყოველი ნორმალური მოთხოვნის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი ვიდრე იყავი“, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დავიწყებია ჩვენს ახალგაზრდობას... კვლევებმა ცხადყო, რომ საქართველო წიგნიერების დონით საკმაოდ დაბალ დონეზეა. ამიტომაც ახალგაზრდობაში განათლებისა და მეტყველების კულტურა დაბალი, ლექსიკური მარაგი – ღარიბი, ამდენად, პრობლემა ძალზე სერიოზული და აქტუალურია. ჩვენი ნაშრომის მიზანია პროექტით სწავლების განხილვა და სწავლის შედეგების დაფიქსირება/გაანალიზება, დადებითი და უარყოფითი მომენტების დაფიქსირება.

აღნიშნული პროექტი - „წიგნი სიყვარულია“ - მიზნად ისახავს მოსწავლეებში წიგნის სიყვარულის გაღვივებას, მისადმი ინტერესის გაზრდას, მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას. წიგნის როლის ზრდისთვის ხელშეწყობას, სიყვარულის გაღვივებასა და განცდას, რომ წიგნი ცხოვრებას გვასწავლის. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს კომუნიკაციასა და ინტეგრირებას სხვადასხვა სკოლას შორის, თანამშრომლობას სტუდენტებთან, საზოგადოებასთან და, რაც მთავარია, თაობათა

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)
The exchange of Good Practices
 17 October, 2015, Materials

დიალოგს. მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რომელიც აუცილებელია მთელი ცხოვრების მანძილზე საკუთარი ძალების რეალიზებისათვის, საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობა და თანატოლებთან მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბება.

დაგეგმილი აქტივობები:

1. პირველი სტუმარი: სკოლის დირექტორი (ოქტომბერი)
2. მეორე სტუმარი : სტუდენტი (ნოემბერი)
3. მესამე სტუმარი საზოგადო მოღვაწე (მწერალი, ჟურნალისტი, უნივერსიტეტის ლექტორი და.ა.შ; სურვილის და შესაძლებლობის მიხედვით) (დეკემბერი)
4. მეოთხე სტუმარი: პედაგოგი (იანვარი)
5. მეხუთე სტუმარი: მშობელი (თებერვალი)
6. მეექვსე სტუმარი: წიგნის მაღაზიათა ქსელის „ბიბლუსის“ წარმომადგენელი (მარტი)
7. მეშვიდე აქტივობა: 23 აპრილი წიგნის საერთაშორისო დღე, ერთობლივი აქცია პროექტის მონაწილე სკოლების მეშვეობით.
8. ექსკურსია – მაისი (მონაწილეობას მიიღებს ყველაზე აქტიური მკითხველები)

აქტივობები, პროცესის მოკლე აღწერა:

პირველ რიგში მოხდა პროექტის პრეზენტაცია, შეირჩა მოსწავლეთა ჯგუფი (მე–7 კლასიდან მე–11 კლასის ჩათვლით, სულ 20 მოსწავლე) ავირჩიეთ კოორდინატორი და ყოველთვიურად ,გეგმის მიხედვით , ვხვდებოდით სხვადასხვა პიროვნებას. შეხვედრამდე კოორდინატორი მოსაწვევ სტუმართან ათანხმებდა, თუ რომელი წიგნი იყო მისთვის საყვარელი და საინტერესო, მოსწავლეებიც კითხულობდნენ და ემზადებოდნენ სტუმართან შესახვედრად. თითოეული წიგნის წაკითხვის შემდეგ, ისინი სათანადო კითხვარებს ადგენდნენ და გუნდის წევრების ცოდნას ამოწმებდნენ. მონიტორინგი კვირაში ერთხელ ტარდებოდა. მოსწავლეები საუბრობდნენ წაკითხული ნაწარმოებებისა და მათი ავტორების შესახებ, ერთმანეთს უსვამდნენ კითხვებს, იხსენებდნენ მოქმედ

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)
The exchange of Good Practices
 17 October, 2015, Materials

პირებს, საინტერესო ეპიზოდებს, ხატოვან გამონთქვამებს. ასეთი მომზადების შემდეგ სტუმართან ერთად მსჯელობდნენ, მართავდნენ დისკუსიებს.

ასე შევხვდით სკოლის დირექტორს, სტუდენტს, სკოლის მასწავლებელს, მშობელს, ბიბლიოთეკის წარმომადგენლებსა და თითოეულთან შეხვედრამ მოგვიტანა ლევან გოთუას „გმირთა ვარამის“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“, ერიხ მარია რემარკის „სამი მეგობარისა“ და კოელიოს „ალქიმის“ წაკითხვა და განხილვა. რაც შეეხება საზოგადო მოღვაწესთან შეხვედრა დროებით გადავდეთ, რადგან ჩვენი სოფელი ჭალა, თავისი წარმტაცი ბუნების წყალობით, ბევრ საზოგადო მოღვაწეს სტუმრობს და არჩევანსაც სამომავლოდ გავაკეთებთ, ვიმედოვნებთ, რომ ეს არ იქნება მარტო ერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე.

პროექტის ფარგლებში ჩავატარეთ გრძელვადიანი კვლევები. გამოვკითხეთ მოსახლეობა, ჩვენი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, მოვიშველიეთ სოციალური ქსელი, მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით გავაკეთეთ პრეზენტაცია:

1. როგორ გვეხმარება ლიტერატურა ჩვენი თავის უკეთ შეცნობაში?

2. რამდენად ვუთმობთ თავისუფალ დროს მხატვრული ლიტერატურის კითხვას

3. წიგნი თუ კომპიუტერი.

4. და რაც ყველაზე დიდ წარმატებად და სიამაყედ მიმაჩნია, ესაა მე-7 კლასის მიერ (ამჟამად მე-8 კლასი) განხორციელებული აქცია: „დავუბრუნოთ სიცოცხლე წიგნებს...“ ამ აქციის ფარგლებში ბავშვები სკოლის ბიბლიოთეკაში არსებულ დახეულ, ხმარებიდან გამოსულ და თითქმის მაკულატურად ქცეულ წიგნებს მკურნალებად ექცნენ და სიცოცხლე დაუბრუნეს.

პროექტის ფარგლებში ორჯერ ვესტუმრეთ ქ. ქუთაისს, პირვლად 23 აპრილს, წიგნის საერთაშორისო დღეს, სადაც ჩვენ მიერ განხორციელებული აქტივობების პრეზენტაცია გავაცანით დამსწრე საზოგადოებას, პროექტის ორგანიზატორებს, მონაწილეებს, (საქართველოს 14 სკოლა, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის სკოლები) ხოლო მეორედ - 2015 წლის 1 ივლისს, ეს იყო საქმიანი, მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრა, სადაც ორგანიზატორებთან, მოსწავლეებთან და კოორდინატორ მასწავლებლებთან ერთად დავგვემეთ და განვიხილეთ პროექტის განხორციელების სამომავლო გზები, ორივე

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)
The exchange of Good Practices
 17 October, 2015, Materials

შეხვედრას გულთბილი მასპინძლობა გაუწია ქ. ქუთაისის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ისტორიულ-არქიტექტურულმა მუზეუმ-ნაკრძალმა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალი სასწავლო წლიდან პროექტის მონაწილე ყველა სკოლა ერთ თავის მეგობარ სკოლას შეარჩევს და ამ პროექტში ჩართავს, რაც მისასაღმებელია, ვინაიდან ახლა ჩვენს გამოცდილებასა და წარმატებას სხვებსაც გავუზიარებთ.

შედეგი: აქ წარმოდგენილი, ჩვენ მიერ განხორციელებული მოხალისეობრივ საწყისებზე დამყარებული აქტივობები, ვფიქრობთ, რომ არც თუ ცოტაა, შედეგიც საამაყო, რადგან თითოეული შეხვედრისა და წიგნის განხილვის შემდეგ, დამსწრე საზოგადოება (განსაკუთრებით ჩვენი სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეები) მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წიგნი მართლაც სიყვარულია და მათი უდიერად მოპყრობა და დახევა შეუძლებელია. წავიკითხეთ და გავეცანით ქართულ და უცხოურ ლიტერატურას. შევიძინეთ ახალი მეგობრები, შეიქმნა ბლოგი და ორგანიზაციის ვებ-გვერდი, სადაც პროექტის აქტივობებია განთავსებული:

1. <http://wignisiyvarulia.blogspot.com/>
2. <http://acme.org.ge/>

ამასთანავე, პროექტმა ხელი შეუწყო მოსწავლეებს განვითარებოდათ ისეთი უნარები, როგორცაა:

- თანამშრომლობის კომპეტენცია, რაც აუცილებელია ჯგუფური პროექტების განხორციელებისთვის;
- კომუნიკაციის კომპეტენცია კონტაქტების დამყარებისთვის, პროექტში საერთო განსჯისა და მუშაობისთვის;
- ორგანიზაციის კომპეტენცია, რომელიც მოსწავლეს გამოადგება პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში;
- პროდუქციის შექმნის კომპეტენცია, რაც მოსწავლეს გამოადგება ტექსტების, ვიდეოების, ფოტოების, რეპორტაჟების, ვებგვერდების და სხვათა მოსამზადებლად;
- ცოდნის ტრანსფერი - ერთ სიტუაციაში ნასწავლის, სხვა სიტუაციაში გამოყენების უნარი;
- პასუხისმგებლობის კომპეტენცია;
- თვითშეფასების კომპეტენცია, რაც ნიშნავს თვითდამკვიდრების, თვითრეფლექსიის უნარს და მოსწავლეთა დამოუკიდებლობას;
- პრეზენტაციის კომპეტენცია, რომელიც აუცილებელია პროდუქტის საზოგადოების წინაშე წარსადგენად (http://gesj.internet-academy.org.ge/ge/list_artic_ge.php)

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)
The exchange of Good Practices
 17 October, 2015, Materials

შეფასება: პროექტზე მუშაობამ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, რომ მასწავლებელმა განსხვავებული აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება სწავლების პროცესის აუცილებელ პირობად უნდა გაიხადოს, ამ გზით მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენა უშუალოდ და ბუნებრივად მიმდინარეობს. სასწავლო პროცესი ხდება სახალისო და მრავალფეროვანი, ბავშვები სიამოვნებით ასრულებენ ამოცანებს, წყვეტენ პრობლემებსა და ქმნიან მნიშვნელოვან რესურსებს. ამასთანავე პროექტმა შესაძლებლობა მოგვცა გავცნობოდით შესანიშნავ ქართულ და უცხოურ ლიტერატურას, რისთვისაც მადლობა გვინდა გადავუხადოთ პროექტის ორგანიზატორებს!

დასკვნა: ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ბევრჯერ გადაუფასებიათ ფასეულობები, მაგრამ, რაღაც საოცარი ძალის წყალობით, წიგნებს მეტწილად შეუნარჩუნებიათ თავიანთი ღირებულება, ცხოვრებისეული მნიშვნელობა და მომხიბვლელობა...რა არის ეს საოცარი ძალა? ეს არის ძალა აზრის უკვდავებისა....

ამიტომ, წიგნს ამქვეყნად ვერაფერი ჩაანაცვლებს, თქვენ წარმოიდგინეთ, ვერც ისეთი ყოვლისშემძლე და ყველა ჩვენგანისთვის საყვარელი და საჭირო გამონაგონი, როგორც კომპიუტერია. კოელიო ამბობს: „როცა რაღაც გულით გწადია, მთელი სამყარო გეხმარება მის ასრულებაში“, ასე რომ, შეუძლებელი არაფერია, გვიყვარდეს წიგნები და ვიმეგობროთ მათთან, რადგან წიგნი ხომ მართლაც სიყვარულია....

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. ბოჭორიშვილი; როგორ შევადგინოთ საგანმანათლებლო პროექტი - გზამკვლევი მასწავლებლებს;
2. მ. ბოჭორიშვილი - ტრანსფერული ცოდნის შეძენის პროცედურები და შესაბამისი მეთოდური ინსტრუმენტები;
3. ს. ლობჯანიძე; როგორ დავგეგმოთ და განვახორციელოთ პროექტ-გაკვეთილი ;
4. ნინიძე ქ.; „პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მისი პერსპექტივები“, ჟურნალი მასწავლებელი N 5 2011, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა : 46-59;
5. მხატვრული ლიტერატურა:ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“,ერიხ მარია რემარკის „სამი მეგობარი“,კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“, კოელიოს „ალქიმიკოსის“
6. „წიგნიერების პრობლემა დღეს“- სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტი „წიგნი სიყვარულია“
7. http://gesj.internet-academy.org.ge/ge/list_artic_ge.php?b_sec=edu&issue=2015-01
8. <http://wignisiyvarulia.blogspot.com/>
9. <http://acme.org.ge/>